

# დროშა

„დროშის“ რედაქცია — სასახლის ქუჩაზე, დ. სა-  
რაფლოვის სახლში.  
ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე;  
ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში, გარეშე  
მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. «Дрошба»  
ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50 კ.; 10 თვით—  
8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—  
6 მ. 6 თვით—6 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4  
მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე  
8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრულად უნდა იქნეს გავე-  
ლი 25 მანათი; პირველი 50 მან. რიცხვი სტრიქონზე-  
ბისა ითვლება მთვან დაჭერილის ადგილის გე-  
ლიობაზედ.  
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს  
და შეამოწმებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს  
დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს  
ავტორს.  
„Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за  
границы принимаются только въ цент., которъ  
объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

ტელეგრაფით „დროშისა“ ღირს 5 კაპეიკა.

გამოდის ყოველ-ღვინე ორშაბათს ბარდა.

## მიიღება სელინ-მოწერა გაზეთს

### „დროშაზედ“

1885 წლისათვის

თბილისში — „დროშის“ რედაქციაში; ქუთაისში — ძმ. ჭილაძეების  
წიგნის მაღაზიაში; ბათუმში — მოსე ნათაძესთან; თალავში — ვანო როს-  
ტომაშვილთან; ბორჯომი — ადალო თუთაყვანს.

სოფლის მასწავლებელთათვის წლით შვიდი მანათი, ნახევარ წლით  
ოთხი მანათი. დაწვრილებით პირობები გაზეთის სათაურშია.

იქვე და იმავე პირობებთან, რომელნიც ზემოდ არიან გამოცხადე-  
ბულნი, მიიღება აგრეთვე ხელის-მოწერა ქერნალს

### „ივერიაზედ“

მინც ცალკე დაიბარებს მთელის 1885 წლით ქერნალს „ივერიას“, უნდა  
ვაშვებოთ წლის ხედვრი ფული შვიდი მანათი (სოფლის მასწავლებელთა-  
თვის ხუთი მანათი) „დროშის“ რედაქციაში ამ ადრესით: ВЪ ТИФЛИСѢ,  
ВЪ РЕДАКЦІЮ «ДРОШБА».

მისაც უფრო ემარჯობა უფრო „დროშა“ და „ივერია“ ერთის  
წერილით დაიბაროს და ამისთვის ხედვრი ფული 16 მანათი გამოგზავნოს  
დროშისგან ადრესით. რედაქტორი ივერიასა და ალია ჭავჭავაძე.

## რედაქციისათვის

ჩვენის ძველის ხელის-მოწერ-  
ლებისათვის ყოველ ჯგუფს მოგვადის  
საკუთარი, რატომ ახალი წლი-  
დამ გაზეთს ადარ გვიგზავნით.  
ამ საკუთარის ასაცილებლად უნდა  
ვახსოვროთ ჩვენს მკითხველებს, რომ  
გაზეთს ვერაფერს ვერ გავუგზავნი-  
თ, ვიდრე გაზეთის მიღების სერვიფს  
არ გამოგვიცხადებენ. ამას იმი-  
ტომ ვნადით საჭიროდ, რომ არა-  
ვინ იფიქროს, ვითომც გაზეთის  
დაბარებას ძალიად ვაკისრებინებ-  
დეთ ვისმე.

თბილისი, იანვრის 22-ს.

შუთაგრესი წყარო ქართულის ე-  
ცხადებისა, რომელიც დასაბამიდანვე  
მეურნეობაზე სტრიალებს, არის მიწა ამ  
გარემოების გამო სოფელს, საცა ყველა  
წოდებანი თავსდებოდნენ, ერთმანეთს  
უახლოვდებოდნენ, უნდა ეკუთვნო-  
დეს განსაკუთრებული ჩვენი ყურად-  
ღება.

შუნი წოდებთა შორის არ იყო  
ის ზღვარი, რომელმაც ამ ბოლოს  
იჩინა თავი, დააშორა იგინი ერთმა-  
ნეთს. ეს სიხლოვე, ეს მეზობლობა

„დროშის“ ტელეტონი, იანვრ. 22-ს

სხვა-და-სხვა გვარი საზღვრო  
კრედიტი ჩვენში  
მიდა-განეთი, გარე-განეთი,  
ქიზიყი და ქართლი\*

### III

საზოგადოდ სულადის და კერძოდ  
პურის გიოვანობა ყველაზედ უფრო  
ფართოა ჩვენში, თუმცა ეს უფრო  
ახლად არის შემოღებული, სანამ  
ღვინის დაკვეთა. ძართლი და ქიზიყი  
სულადის გიოვანობით ყველა ჩვენს  
მხარეებს აქარბებს. ჭველა ნაირ სეს-  
ხების დროს, ამ უკანასკნელ დროში,  
გლეხი უფრო სულადით ჰპირდება ვა-  
ლის გადახდას.

ჩვენში ყველგან გაჭირებულ გლეხს  
თუმანი უნდა მისცე, რომ მკათათვეში  
მ. ხვიდე და კლოდან ათი კოდი პუ-  
რი იაიყო. ჩვენა ესთქით, რომ გლე-

ხის გაჭირება იანვრიდან იწყება-თქო,  
მაგრამ თითბავეშია ც რომ ისესხოს  
გლეხმა პურზედ ფული, მინც კოდი  
მანათობაზე უნდა დაუვეთოს. მართი  
თვის შემდეგ, სულ მცირე, კოდი ორი  
მანათი მინც განდება და ასე მოკლე  
ვალის კრედიტის სარგებელი მანათ-  
ზედ — მანათია! მოდს პურს უყვეთავს  
გლეხი ათი შაურიდამ დაწყებული  
ოთხ აბაზამდინ, სიმინდის ფასი ქერ-  
თან ბარ-და-ბარია, — ფეტვი კი სამ  
აბაზ ზევით არ წავა! მერე ესე დაკვე-  
თა ვალის ადრე და გვიან გა-  
დახდაზედ კი არ არის დამოკიდებუ-  
ლი, არამედ დამოკიდებულია გაჭი-  
რებაზედ.

შემოდგომის შემდეგ გლეხი რასაც კი  
კიდულობს ამ მოვარეებისაგან — ყვე-  
ლას ნისიად და უფრო პურზედ. —  
ორი შაურის ნაფასურზედ გლეხი ლი-  
ტრა პურს იწერავს საკათათვოდ. სხვა  
დროს უფრო ნავთს, მარლოს, საპონს  
ნისიობს. შემეები რომ მოატანს —  
ჩითეულობას, ვაზაფხულზე-კი არაქს  
დიდ-ძალ პურსაც აგროვებენ ხოლმე

თუმცა ბატონს ბატონობას არ აშლი-  
ენებდა, მაგრამ არც გლეხს აგრძო-  
ბენებდა მონობას. მებატონე ყოველ  
შემთხვევაში, ყოველ გვარ გაჭირება-  
ში ხელს უწყობდა, ეხმარებოდა თა-  
ვის ხელ-ქვეითებს, თავის ყმებს. „ბა-  
ტონი ჩემი არ მომიკვდესო“ ჰფიცავ-  
და ხოლმე გლეხი. ის ჰფიცავდა თა-  
ვის ბატონის მზეს იმიტომ კი არა,  
რომ ეშინოდა, არამედ იმიტომ, რომ  
უყვარდა: მებატონე იყო თავის ყმის  
მფარველი, მშველელი, ამასთანავე  
ყმაც სამაგიერო სამსახურს უწყევდა  
ხოლმე მას. საერთო შიში, საერთო  
მოვალეობა, რომელიც მამულის და-  
ცეაში მდგომარეობდა, კიდევ უფრო  
ახლოვებდა ერთმანეთთან ორთავე  
წოდებას; ეს ურთიერთ-შორის კეთილ  
განწყობილება იყო ქართველის ერის  
სიმაგრე. ჰოველ გვარი უბედურობა  
რომის იმპერიას, ამბობს მიწლი, მო-  
ნობისაგან მოველინაო. ხალხის უმე-  
ტეს ნაწილს არ ჰქონდა არც პირადი  
თავისუფლება, არც მიწა-წყალი, არც  
ოჯახობისთვის შეეძლო ხელი მოეცი-  
და, არც მშველელი ვინმე ჰყავდა; მე-  
ბატონემ მიითვისა ყოველი უფლება  
და ყალბს უკუყავს. მამული, სახელმწიფო  
აკისრებინებდა. მამული, სახელმწიფო  
იმისათვის გვიყვარს, რომ ვალდებუ-  
ლებასთან უფლებასაც მოგვანიჭებს  
ხოლმე; აქედან წარმოსდგება ის გრძ-  
ნობა, რომელსაც, სამშობლოსადმი სი-  
ყვარულს ეძახიან. აქედამ წარმოსდგე-  
ბა ის თავგანწირულება, რომელსაც  
იჩენს კაცი, როცა იმის ქვეყანას რაი-  
მე გაჭირება მოადგება. თუ ჩემს სა-  
ზოგადოებაში, ჩემს ქვეყანაში ყოველს

ბედს მოკლებული ვარ, არა ვითარის  
უფლებით არ ვსარგებლობ, იმ შემ-  
თხვევაში არც მამულისადმი სიყვარუ-  
ლი ღვივის ჩემს გულში. როცა რომს  
განსაცდელი მიადგა, როცა ყოველის  
მხრით შემოესია მტერი, ხალხის უმე-  
ტესი ნაწილი გულ-გრილად შეჭყუ-  
რებდა ამ უბედურობას.

თორმეტის საუკუნის განმავლობა-  
ში ქართველმა ერმა თავის სარწმუნოე-  
ბა, სახელმწიფო, ხალხობრობა შეი-  
მაგრა, დაიფარა სასტიკ და შავალ  
მტერთაგან და ეს შეუძლებელი იქმნე-  
ბოდა, რომ თვით საქართველოში  
წოდებთა შორის განხეთქილება ყო-  
ფილიყო, ბატონთა და ყმთ შორის  
ურთიერთობას ისეთი ხასიათი ჰქო-  
ნოდა, რომლის ძალით ერთი უფ-  
ლობს, და მეორე მონობის სიმძიმის  
ქვეშ იტანჯება. — მხოლოდ ამ უკა-  
ნასკნელ დრომ დააშორა თავდაზნა-  
ურობა გლეხობას, შემოვიდა ისეთი  
წეს-წყობილება, რომელიც სულ სხვა  
ნიადაგზე იყო აღმოცენებული, სულ  
სხვა საზოგადოებრივ წყობილებას  
ეკუთვნოდა. ეს დაშორება უფრო  
გამლიერდა, როცა მებატონეებმა სოფ-  
ლს, როცა მოხდა ემიგრაცია.

ამ ორმოცის წლის წინედ ჩვენი  
თავდაზნაურობა შემოსწრა საოფელს  
და ქალაქის სიტყვაზე იგება.

იმ დროს ჩვენში ევროპიულმა ნიაე-  
მა შემოჭრა: შემოიღეს ისეთი ჩვე-  
ულებანი, რომელნიც ადვილად შესა-  
თვისებელნი არიან, და საზოგადოდ  
განათლების ცუდს მხარეს ეკუთვნიან;  
სხვა-და-სხვა გვარი განცხრობა, დროს

\* იხილეთ „დროშა“ № 14

დიოდ თუმნის არაქს და სამიოდ თუმ-  
ნის ნავთს, მარლოს, საპონს, ხელ-და-  
ხელ ჰმართამენ ვზის პირზედ და სოფ-  
ლებში ქოხებს და აძლევენ სამკლად  
გასულ ქიზიყელებს ყველა ამას  
ნისიად სულადზედ. ძალოობა დაიწ-  
ყო. მიზიყელები ჩავიდნენ სოფელ გა-  
რეთ კლოვებზედ. ეს ჩარჩები კულა-  
ვირებით და არაყ-მარილ-ნავთით დატ-  
ვირთულები ქალოვებზედ მიდიან, იქაც  
ხელს უმართავენ „ნისიობით“ და თან  
ყოველ საღამოობით, განუავების დროს,  
ართმევენ ნისიაში სულადს და მიაქვთ  
ვირებით სადმე გომურებში...

ჭველა სოფლის მეღუქნეც ამასვე  
სჩადის მკათათვეში. ძართლში, შრო-  
ნის ხეობაზედ ბოსლებს გაამსებენ  
ხოლმე ნისიად მინაყიდ ჩითეულობაში.  
აღებულს ხორბლით...

### IV

შრომის დაუვეთავს ხოლმე ჩვენი  
გლეხი უფრო თავისვე მოძმე გლეხს,  
„ყლაპიად“ წოდებულს და მის მან-  
ლობლად მცხოვრებ შემამულეთ.

გატარება, უზომო ხარჯი, მიბაძვა მადღერდენ მალალ საზოგადოების ხასიათს. სოფელს თავი დანებეს; მამულის შემოსავალი, რასაკვირველია, არ ჰფარავდა ქალაქში უზომო ხარჯს; წარმოიდგინეთ: ჩვენს პაწია ქვეყანაშიც მოხდა ის მოვლენა, რომელმაც შეასუსტა საფრანგეთის თავდაზნაურობა მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუუნოებში...

მით ნაირ მიზეზებს ერთგვარნი შედეგნი მოსდევნენ... მამულებს ვალი დაედვა, ჩვენი თავდაზნაურობა გაღარიბდა და ამასთანავე ხალხსაც დაეშორათ.

მხლა დროა ქალაქს ზურგი უშუქციოთ, ხელახლავ სოფლისკენ გავუშუროთ, გავასწოროთ ძველნი ცოდვანი, რომელთა წყალობით ჩვენი ნიეთიერი მდგომარეობა უკიდურესობას დაუახლოვდა. ცხადია, მამული დაიღუპება, უსარგებლო შეიქნება, თუ მეპატრონეს თითონ არ უჭირავს იგი, თვითონ არ მართავს, თვითონ არ უგდებს ყურს იმის შემოსავალ-გასავალს. ღღეს; ღღეთის მაღლით, ცოტად თუ ბევრად ჩვენში განათლებულთა რიცხვიც გავრცელებულია. აქამდის სამსახურს ვეტანებოდით, მაგრამ ყოველ-ღლიური დაკვირება გვარწმუნებს, რამოდენად საზიანოა სოფელზე დაშორება ჩვენის კეთილ-მდგომარეობისათვის. მხლა, როცა ბატონ - ყმაობა მოისპო, ხალხთან დაახლოვება უფრო ადვილია, მანეთიარებულ კაცს შეუძლიან მოიგონონ ხალხის გული, დაუახლოვდეს, მაგალითი აჩვენოს, შრომა არ ითაკილოს, მეზობლობა გაუწიოს და ამ სახით დაამკვიდროს მჭიდრო კავშირი დაბალ ხალხთან.

ამ გვარ ურთიერთ დამოკიდებულებაზე უნდა იქმნას დამყარებული მომავალი ჩვენი კეთილ-დღეობა...

აგირავებს გლეხი უფრო მკისთვის საჭირო შრომას და აგრეთვე თიბვის, კალოაობის და თოხენისთვის საჭიროს, ესე იგი როცა მის შრომას უფრო საფასური მეტი აქვს და საზოგადოაც ძნელია.

როცა რამდენიმე აბაზიდან რამდენიმე მანათამდის უჭირს გლეხს, ის მაშინ მირბის ზემოდ მოხსენებულ მეზობლებთან და ამ გვარ წერილ კრედიტში აგირავებს თავის შრომას. წინადადებულ ფულში მისგან უფრო ზაფხულის შრომას იგირავებენ ესე იგი მკაში, თიბვაში, სიმინდის თოხენაში და სხვ... შგირავებს ამ მოხსენებულ დღიურ შრომას ორ აბაზად, გაჭირდეს—თ შაურად...

თანაც ამ გვარ პირობაზე აწერს ხელს: თუ დაძახების უმაღლ არ წამოგყვე, ჩემ მაგიერ სხვა მუშა შეგიძლიან დაიჭირო და ნამეტანიც რომ მისცე, მე გადავიხადოვო...

შულის გარდა, ჩვენი გლეხი შრომას ხორავის ადებაში უფრო აგირავებს. არა აქვს მას საყველივროდ

შინაური მართობა

— მართლ-მანეთის სამღვდლოების მეორე სხდომაზე, იანერის 16-ს, დილის ათს საათზე თავს-მჯდომარემ სხდომის განხილსათანავე წაუკითხა დებულებებს სამღვდლოებისას გარდასაწვევტი და განსახილველი საგნები: ა) სამ კლასიანი თბილისის ეპარქიული საქალბო სასწავლებლის ექვს-კლასიანად გადაკეთებისა და მისთვის ღონის-ძიების აღმოჩენის შესახებ; ბ) სამრევლო სკოლების გახსნის შესახებ. ბ) რელიგიური გულ-გრილობის გავრცელებისა ხალხში და ამის საწინააღმდეგოდ ზომების მიღების შესახებ. სჯა იყო სამივე საგანზედ. ჰერ მეორე საგანზედ იწყეს ლაპარაკი, რადგან პირველ საგნის შესახებ ცნობები არ იყო მოსული. — ჩამოსთვალეს და გამოიკვირეს შემდგენი მიზეზნი რელიგიური ინტერენტრებისა და შეიტანეს პროტოკოლში ასეთის რიგით: ა) მღვდელთა მიერ ქადაგების შეუძლებლობა; ბ) კვირაუქმით სოფლის სასამართლოებისა და სამიკიტროების მოწყობა ეკლესიების მახლობლად; გ) ჩინოვნიკური მოქმედება სამღვდლოებისა მრევლის წინაშე ეხლანდელის წეს-წყობილობის წყალობით და აქედამ წარმოდინარე უსიამოვნება მღვდლისა და მრევლის შორის. ამ მიზეზების სათავედ სხვა მიზეზიც აღმოაჩინეს: მავალითად — ქადაგების შეუძლებლობა სემინარიის ბრალი არისო და არა მღვდლებისა...

პრებამ დაადგინა: ამას იქით სასულიერო სასწავლებლებში ქართული ენა ქართულად ისწავლებოდეს და არა რუსულადო. „პოდის პური“ ფულად შეიცვალოსო. სოფლის სასამართლოები და სამიკიტროები წირვის გამოსვლამდე დაკეტილ იქმნანო. მღვდლისთვის ყველა მრევლმა პლანისამებრ სახლი ააშენოსო.

შველა ეკლესიებში მატრიელ ებისკოპოსის

ბრინჯი, ერბო, ყველი, თევზი — შვილები უტირიან, ცალი ბუტბუტებს; — საბრალოც მიდის შრომის დასიგირავებლად, რომ საყველიერო იშოვოს. ჩარქვი ყველი რომ აიღოს, ერთი დღე სამკალში შევლა უნდა წამოიწეროს, გირვანქა ერბოშიაც აგრეთვე...

შილა-ძახეთში თითო ლიტრა ბრინჯზედ ახატლელი თბორები ათასობით იკეთენ. ხოლმე მომკლებს გარშემო სოფლებში...

შულის პატრონები მისში, მშვენიერ მოსავალს რომ დაინახვენ, აუტყდებიან გლეხებს, რომ მათ ჰსურთ „საღმრთო“ გამართონ. მითონვე სასოფლოზე გამოიყვანენ ძროხას, გამიტანენ ოციოდ ჩაფ წყლიან ღვინოს და ორიოდ ცხვარს და ვინც საღმრთოში მივა, პირობაზედ ხელს აწერინებენ, რომელშიაც სწერია, რომ მკაში დაძახების უმაღლ, ერთი დღე გიშველიო. მითი დღე მითომ ავად ვყოფილვარო, ჰფიქრობს გლეხი და ერთ სადილში აწერს პირობაზედ ხელს...

პოზის ქადაგებანი იქონიონ და იქიდან ქადაგებას წაუკითხავდენ ხალხსაო. სადაც-კი დრო და შემთხვევა ხელს აძლევდეს მღვდელს, მრევლს ყოველთვის უმოძღვრიდესო. მღვდელი უნდა დაუახლოვდეს სამრევლოთა ოჯახებსაო. ბარდასწყდა აგრეთვე სამრევლო სკოლების გახსნა იმ სოფლებში, სადაც არ არის სახალხო სკოლების დირექციის სკოლები. სამღვდლოებამ უსასყიდლოდ იკისრა სწავლების შრომა, მრევლთ შროლოდ სკოლებისათვის სახლები ააშენონო.

— სოფლის სასულიერო წოდების უფროსებს განუზრახავთ, რომ ყოველს მღვდელს ყვეილის აკრა ასწავლონ, რადგან ეს ავად-მყოფობა ხალხში თან-და-თან უფრო ვრცელდება და ხალხს-კი იმისთანა დასლოვებულნი პირნი არა ჰყავს, რომელთაც შეეძლოთ აკრის საჭიროება ჩააგონონ და თუნდა ჰყავდეს, ამცრელი არსად იშოვება.

— მ. რაფიელ მრისთავმა შესწირა ცხრა ვგზემლიარი თავისგან შედგენილი ლექსიკონი ცხოველთა, მცენარეთა და მინერალთა: უნივერსიტეტებში და სხვა მალალ სასწავლებლებში დასარიგებლად. პარგი იქმნებოდა, რომ სხვა ქართული წიგნების ავტორნი და შემადგენელნიც არ დაზოგავდენ რამდენიმე ვგზემლიარს თავიანთ წიგნებისას და მიაწოდებდენ შორს ქვეყანაში გაბნეულ მოსწავლე ახალ-გაზღობას. მაგრამ, თუ გვინდა რომ ამ საქმემ კეთილი ნაყოფი მოიტანოს, თითონ ახალ-გაზღობამაც იმისთანა ადგილს უნდა მოუყაროს წიგნებს თავი, რომ ერთსა და ორ პირზედ არ იყოს დამყარებული შენახვა და ყურის-გდება და მომავალთა მოსწავლე რიგობათაც დაუბრკოლებლივ შეეძლოთ მათი ხმარება.

— მეღობისა და თბილისის გარდა

ბირაენობა მიწებისა ანუ სახანავსათისა მეტად გავრცელებულია შილა-ძახეთში და შართლში, სადაც-კი გლეხს კერძო საკუთრებად სახანავსათესი აქვს. შილა-ძახეთში, თელავის მახლობლად, გლეხი თხუთმეტ მანათს, ან ორ თუმანს სესხულობს და უგირავებს ერთი დღის მიწას; როცა მომკის და გაღწევის ამ მიწის მოსავალს, მოჩვენე მოდის და მხა მხარეულად მოსავლის მესამედს იწაფს...

შართლში და დანარჩენ ძახეთშიაც მიწებს უფრო გლეხი გლეხისაგან იგირავებს; — დაგირავების ფასიც ყველგან სხვა-და-სხვა, მაგრამ ყველგან თავნი უკვდავია და სარგებელში-კი ყოველ წელს მოსავლის ნაოთხალს მაინც აძლევს მოგირავენს. ამ ორივე მოხსენებულ მხარეებში მიწის დაგირავება ისეა გავრცელებული, უმამულობის გამო, რომ ყველა გლეხი ცდილობს

თოთხმეტს ამ თეინს... სოფილა აგრეთვე უნდა, — ხარდო მშპაც ბეოქიას მანრაში. მიწის ძვრა ძლიერი ყოფილა, მაგრამ არავითარი ენება მცხოვრებთათვის არ მოუტანია. საზოგადოდ, ამბობს ვაზეთი კასში მიწის-ძვრა შარდობისათვის იშვიათი მოვლენა არ არისო. შარმან მავალითად იქ სამჯერ იყო კარვად საგრძობი მიწის-ძვრაო.

— ზემო-იმერეთიდან იწერებიან, რომ თუქცა ამ უქანასკნელს დრომდის პურის მოსავალს კარგი პირი უნდა, მაგრამ უქანასკნელმა ქარმა და ყინებმა სრულიად გაანადგურა ამწვენებული ყანებიო.

— ძაკასიის მთავრობას საჭიროდ დაუნახავს, რომ სამხედრო-საექიმო დაწესებულებათათვის ახალი შენობები აავგოს, და შეაკეთოს ეხლანდელი შენობები საექიმო უწყებისა. ამ საგნისათვის ინჟინერთა მთავარ გამგეობას მოუთხოვნია ორასი ათასი მანეთი, რომლის მიცემასაც იმჟერის უმაღლესი სამმართველო დაწესებულება შესაძლებელად ხედავს (,რუს. ქურა)...

— ხაშურში გამოცხადებულა ვილაც „სეიდა“, რომელიც, როგორცა სჩანს ჩვენდამი მომართულ წერილილიდამ, „სანიტარი“ უნდა იყოს. ღილ სანიტარი, რადგან საცა-კი უბრალოდ აშენებულ ღუქებს ან ქახებსა ნახავს, პირქვე ამბობს; ღორის ხორცის გაყიდვის ნემას არავის აძლევს და უცხო კაცი თუ შეაჩნია ხაშურში, იმის უკითხავად, ბილეთი აქვს, თუ არა, ზოგს მაზრის უფროსთანა ჰგზავნის, ზოგს ატუსაღებს და მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ ანთავისუფლებს. ღმერთო გვხსენ ამისთანა „სანიტარებისაგა-

მეორე გლეხის მიწა დაიგირბოს; ბევრი ხნათვისეცა-კი გადაჩვეულა და ამგვარად დაგირავებით ცდილობს თავის სახლობს წლითი-წლიობამდე გამოკტვობს, — რისათვისაც ექსიოდ თუმაინი რომ გავსცეს, ორმოც კოდ სულადამდის იშოვის წელიწადში და მეტიც აღარ უნდა.

როცა ჩვენს გლეხს ძლიან უჭირს ხოლმე ჯეჯილად ამოსულს ჭინახულსაც ჰყიდის დღიურს 5 და 6 მანათალ!...

ბევრ-გვარია კიდევ ამანათობა კრედიტისა ჩვენს სოფლებში, მაგრამ...

ს. რეის-პიჩი



